



შეზღუდული
პასუხისმგებლობის საზოგადოება

„გ ზ ა“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური და მმართველობის

ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი

2018 წელი

შპს „გზა“

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა;
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიში;
3. სრული შემოსავლების ანგარიში;
4. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიში;
5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
6. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები;
7. მმართველობის ანგარიშგება.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გზა“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „გზა“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „გზა“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ შპს „გზა“-საგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მოვითხოვეთ გამოვლენილი არსებითი უზუსტობის შესწორება, რომელმაც განაპირობა 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ციფრების შეცვლა. ასს-ის შესაბამისად, ჩვენ 2017 წლის აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ ფინანსური ანგარიშგების N16 შენიშვნაში აღწერილი შესწორებები, რომლებიც განხორციელდა 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების შესწორებისათვის, ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი

იყო და სწორად არის გაკეთებული. ჩვენ არ ვიყავით დანიშნული შპს „გზა“-ს 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად და შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც მივიღეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „გზა“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „გზა“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც

არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „გზა“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „გზა“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „გზა“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს შპს „გზა“-ს ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ

მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

27 დეკემბერი 2018 წელი

მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)



27 დეკემბერი 2018 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	8 918 194	9 209 392	6571155
არამატერიალური აქტივი	2	3 794	3 439	4176
სხვა გრძელვადიანი აქტივები მიმდინარე ნაწილი	3	5 000	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		8 926 988	9 212 832	6 575 331
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	4	13 195 857	10 191 767	6 181 086
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	11 938 061	14 693 655	5 443 039
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	6	845 573	1 277 185	16 212
სულ მიმდინარე აქტივები		25 979 491	26 162 607	11 640 337
სულ აქტივები:		34 906 479	35 375 438	18 215 668
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		422	422	270 422
გაუნაწილებელი მოგება—ზარალი	16	11 691 863	6 131 798	(432 458)
სულ საკუთარი კაპიტალი		11 692 285	6 132 220	(162 036)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		2 857 555	5 346 501	5 647 765
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2 857 555	5 346 501	5 647 765
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	8 487 438	11 689 443	11 526 887
საგადასახადო ვალდებულებები	8	10 347 462	5 810 342	(80 492)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	1 521 739	6 396 933	1 283 544
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		20 356 639	23 896 717	12 729 939
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		34 906 479	35 375 438	18 215 668

-

-

-

დირექტორი

მალხაზ დუმბაძე

მთ. ბუღალტერი

ბესიკ დავითაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1 8 918 194	9 209 392	6571155
არამატერიალური აქტივი	2 3 794	3 439	4176
სხვა გრძელვადიანი აქტივები მიმდინარე ნაა	3 5 000	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	8 926 988	9 212 832	6 575 331
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	4 13 195 857	10 191 767	6 181 086
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5 11 938 061	14 693 655	5 443 039
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	6 845 573	1 277 185	16 212
სულ მიმდინარე აქტივები	25 979 491	26 162 607	11 640 337
სულ აქტივები:	34 906 479	35 375 438	18 215 668
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	422	422	270 422
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	16 11 691 863	6 131 798	(432 458)
სულ საკუთარი კაპიტალი	11 692 285	6 132 220	(162 036)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	2 857 555	5 346 501	5 647 765
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2 857 555	5 346 501	5 647 765
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7 8 487 438	11 689 443	11 526 887
საგადასახადო ვალდებულებები	8 10 347 462	5 810 342	(80 492)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9 1 521 739	6 396 933	1 283 544
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	20 356 639	23 896 717	12 729 939
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	34 906 479	35 375 438	18 215 668

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

მალხაზ დუმბაძე

ბესიკ დავითაძე



სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ანგარიშგება ფუნქციური
მეთოდით

		31.12.2017	31.12.2016
ამონაგები	10	35 005 935	36 139 287
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(24 635 473)	(23 201 193)
საერთო მოგება		10 370 462	12 938 093
სხვა შემოსავალი	12	1 787 089	709 722
კომერციული დანახარჯები	13	(32 264)	(18 231)
ადმინისტრაციული დანახარჯები	14	(157 857)	(117 627)
საპროცენტო ხარჯები		(507 163)	(583 758)
სხვა ხარჯები	15	(1 884 470)	(3 126 827)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(1 394 623)	(1 027 978)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		8 181 174	8 773 395
მოგების გადასახადი		(5 320)	(379 665)
საანგარიშო წლის მოგება		8 175 854	8 393 730

დირექტორი

მალხაზ დუმბაძე

მთ. ბუღალტერი

ბესიკ დავითაძე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ანგარიშგება ფუნქციური
მედიუმი

		31.12.2017	31.12.2016
ამონაგები	10	35 005 935	36 139 287
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(24 635 473)	(23 201 193)
საერთო მოგება		10 370 462	12 938 093
სხვა შემოსავალი	12	1 787 089	709 722
კომერციული დანახარჯები	13	(32 264)	(18 231)
ადმინისტრაციული დანახარჯები	14	(157 857)	(117 627)
საპროცენტო ხარჯები		(507 163)	(583 758)
სხვა ხარჯები	15	(1 884 470)	(3 126 827)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(1 394 623)	(1 027 978)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		8 181 174	8 773 395
მოგების გადასახადი		(5 320)	(379 665)
საანგარიშო წლის მოგება		8 175 854	8 393 730

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



მალხაზ დუმბაძე

ბესიკ დავითაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		საწესდებო კაპიტალი	დამატებითი რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31.12.2015 წაშთი	16	<u>270 422</u>	<u>-</u>	<u>(432 458)</u>	<u>(162 036)</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		(270 000)			(270 000)
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება		-	-	(1 829 474)	(1 829 474)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი		-		8 393 730	8 393 730
31.12.2016 წაშთი	16	<u>422</u>	<u>-</u>	<u>6 131 798</u>	<u>6 132 220</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება		-	-	(2 615 789,47)	(2 615 789)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი		-	-	8 175 854	8 175 854
31.12.2017 წაშთი	16	<u>422</u>	<u>-</u>	<u>11 691 863</u>	<u>11 692 285</u>

დირექტორი

მალხაზ დუმბაძე

მთ. ბუღალტერი

ბესიკ დავითაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
<u>31.12.2015 წაშთი</u>	16 <u>270 422</u>	-	<u>(432 458)</u>	<u>(162 036)</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(270 000)			(270 000)
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	-	-	(1 829 474)	(1 829 474)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი	-		8 393 730	8 393 730
<u>31.12.2016 წაშთი</u>	16 <u>422</u>	-	<u>6 131 798</u>	<u>6 132 220</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	-	-	(2 615 789,47)	(2 615 789)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი	-	-	8 175 854	8 175 854
<u>31.12.2017 წაშთი</u>	16 <u>422</u>	-	<u>11 691 863</u>	<u>11 692 285</u>

დირექტორი




მალხაზ დუმბაძე

მთ. ბუღალტერი



ბესიკ დავითაძე

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
პირდაპირი მეთოდით

	31.12.2017	31.12.2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	32 626 273	24 128 999,9
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(20 107 023)	(12 695 002)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(5 223 023)	(4 430 651)
<i>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:</i>	7 296 228	7 003 347
გადახდილი გადასდახადები	(1 758 084)	(239 233)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	5 538 144	6 764 113
<i>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	5 538 144	6 764 113
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გადახდილი პროცენტები	(718 372)	(588 847)
გადახდილი სესხები	(3 147 523)	(4 965 661)
მიღებული სესხები		2 828 561
<i>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</i>	(3 865 895)	(2 725 946)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/შემცირება	-	(270 000)
დივიდენდის განაწილება	(2 485 000)	(1 743 508)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	1 604 590	651 055
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(1 223 451)	(1 414 740)
<i>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</i>	(2 103 861)	(2 777 194)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(431 612)	1 260 973
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	1 277 185	16 212
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	845 573	1 277 185
		-

დირექტორი

მალხაზ დუმბაძე

მთ. ბუღალტერი


ბესიკ დავითაძე

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

*ფულადი ნაკადების ანგარიშგება
პირდაპირი მეთოდით*

	31.12.2017	31.12.2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	32 626 273	24 128 999,9
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(20 107 023)	(12 695 002)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(5 223 023)	(4 430 651)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:	7 296 228	7 003 347
გადახდილი გადასახადები	(1 758 084)	(239 233)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	5 538 144	6 764 113
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5 538 144	6 764 113
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გადახდილი პროცენტები	(718 372)	(588 847)
გადახდილი სესხები	(3 147 523)	(4 965 661)
მიღებული სესხები		2 828 561
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(3 865 895)	(2 725 946)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/შემცირება		(270 000)
დივიდენდის განაწილება	(2 485 000)	(1 743 508)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	1 604 590	651 055
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(1 223 451)	(1 414 740)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2 103 861)	(2 777 194)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(431 612)	1 260 973
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	1 277 185	16 212
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	845 573	1 277 185

დირექტორი



მალხაზ დუმბაძე

მთ. ბუღალტერი

Handwritten signature of the Chief Accountant.

ბესიკ დავითაძე

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი
შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთეულამდე სიზუსტით.

შპს “გზა” წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში. ის რეგისტრირებულია ბათუმის რ-ნის სასამართლო მიერ 03.02.2005 წ. მისამართი ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ., №51, ბინა 1. საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 245525132.

საწარმოს პარტნიორია ფიზიკური პირი - გიორგი ჭყონია (61001002082) (100%). საწარმოს ძირითადი საქმიანობაა გზების და ავტობანების მშენებლობა; სხვა საინჟინრო მოწყობილობების დაყენება.

საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების საფუძველზე. საწარმო არ ფლობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით-ანუ დაშვებით, რომ საწარმო განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. საწარმოს მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები ძველ სტანდარტებში და ინტერპრეტაციები

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMES) 2017 წლის 1 იანვრისათვის სამოქმედოდ დამტკიცებული ვერსიის საფუძველზე.

საწარმოს ჯერ არ გაუკეთებია იმის შეფასება, თუ რა გავლენას მოახდენს მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაზე ის ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებულ პერიოდზე.

საწარმოს ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ ახალ სტანდარტს შეაქვს ბევრი ცვლილება ფინანსური ანგარიშგებაში და შესაძლოა იქონიოს კიდევ არსებითი ზეგავლენა საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე. ფინანსური ანგარიშგების მომზადების ეტაპზე ჯერ კიდევ არ გაუკეთებია იმის შეფასება, თუ რა გავლენას მოახდენს მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებზე ის ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებულ პერიოდებზე. საწარმო არ აპირებს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას და მათ გამოიყენებს ძალაში შესვლის თარიღიდან.

III. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად საწარმო იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით აღრიცხული არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მოქმედ ვალუტაში კონვერტაცია ხდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგება ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე სალარე და სავალუტო ანგარიშებისაგან.

ამონაგების აღიარება

საქონლის/მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდების და უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ფასდაკლებებით. ამონაგები არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ დამატებული ღირებულების გადასახადს.

საწარმოს აქტივების სხვა პირთა მიერ გამოყენებიდან მიღებული ამონაგები პროცენტის სახით აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც იგი წარმოიშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი უშუალოდ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივების შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან. ამ ოპერაციებისათვის მიღებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები ემატება აღნიშნული ქონების თვითღირებულებას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე მოგების გადასახადისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების თანხების ჯამისგან. მიმდინარე მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება წლის დასაბეგრი (15%-იანი განაკვეთი) მოგების საფუძველზე. გადავადებული გადასახადი წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულების საბალანსო ღირებულებებსა და მათი შესაბამისი საგადასახადო ბაზის მონაცემებს შორის სხვაობის (დროებითი სხვაობა) შედეგს. გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს დასაბეგრ მოგებას და გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იღებია გადავადებული საგადასახადო აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულების შეფასება და განხილვა და სწორდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს მომავალი დასაბეგრი მოგების მიმდინარე შეფასებები. ნებისმიერი კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში. გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია იმ პერიოდების დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის) მიმართ, რომელთათვისაც ივარაუდება გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვა. გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის დადგენილი ან არსებითად დადგენილი საგადასახადო განაკვეთის და მოქმედი კანონმდებლობის გამოყენებით.

არაფინანსური აქტივები

გადავადებული გადასახადების გარდა, საწარმოს სხვა არაფინანსური აქტივების შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების მაჩვენებელი.

არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება არის ამ აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ დაშვებებში. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები 3-5%

მანქანა-დანადგარები 14-20%

საოფისე აღჭურვილობა 14-20%

ავეჯი და მოწყობილობები 14-20%

სატრანსპორტო საშუალებები 10-20%

სხვა ძირითადი საშუალებები 10-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მიმოხილვას, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მინიშნება, ხდება აქტივის (ან ურთიერთდაკავშირებული აქტივების ჯგუფის) აღდგენითი ღირებულების შეფასება და მისი შედარება ამ აქტივის საბალანსო ღირებულებასთან. თუ აქტივის აღდგენითი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება აღდგენით ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სასაქონლო/მატერიალური ფასეულობების გაუფასურების შეფასებას სასაქონლო/მატერიალური ფასეულობების თითოეული ერთეულის (ან მსგავსი ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით მის გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია მარაგის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით. თუ სასაქონლო/მატერიალური ფასეულობების ერთეული (ან მსგავსი ერთეულების ჯგუფი) გაუფასურდა, მათი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება მარაგის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდებში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსაცია, აქტივის (ან ურთიერთდაკავშირებული აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის ახალ შეფასებულ აღდგენით ღირებულებამდე (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში, დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე), მაგრამ ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს თანხას, რომლითაც შეფასებული იქნებოდა აქტივი, რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან ურთიერთდაკავშირებული აქტივების ჯგუფის) გაუფასურების აღიარება წინა პერიოდებში. გაუფასურების ზარალის კომპენსაცია დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც იჯარის პირობებით გათვალისწინებულია იჯარით აღებული აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და სარგებლის ძირეული გადასვლა ჯგუფზე. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები აღირიცხება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის პერიოდის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების მიწოდების უდიდეს ნაწილს საწარმო ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ძირითად საკრედიტო აიოოიეიი გაიოოციეიეიული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

საწარმოს ისტორიულად არ ქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საწარმოს წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

საწარმოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განახლებაზე და საწარმო ზე არსებითი გავლენის მქონე რისკების დამტკიცებაზე.

სასამართლო დავები

საწარმო აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი. ისეთ შემთხვევებში როცა ეს კრიტერიუმები არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შესაძლოა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. იმ პირობითი ვალდებულებების რეალიზაციას, რომელიც ჯერჯერობით არ არის აღიარებული ან ასახული ფინანსური ანგარიშგებაში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. აღრიცხვის ამ პრონციპების გამოყენება სასამართლო შემთხვევებითვის მოითხოვს რომ საწარმოს მენეჯმენტმა მიუთითოს გადაწყვეტილებები ისეთ ფაქტიურ და იურიდიულ საკითხებზე რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარება. საწარმო განიხილავს არსებულ სასამართლო საქმეებს ყოველი ბალანსის შედგენის თარიღში, იმისთვის რომ შეაფასოს ფინანსურ ანგარიშგებაში გასათვალისწინებელი აუცილებელი გარემოებები. ამ გარემოებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებულ ფაქტორებს შორისაა სასამართლო დავის, საჩივრის ან გარჩევის ტიპი, სასამართლო პროცესი და პოტენციური ზარალის ოდენობა იმ იურისდიქციაში, რომელიც განიხილავს ამ დავას საჩივარს ან გარჩევას, პროცესის მიმდინარეობა (ფინანსური ანგარიშგების მომზადების, მაგრამ გამოქვეყნებამდე თარიღის ჩათვლით) იურიდიული მრჩევლების მოსაზრებები და შეხედულებები, წინა გამოცდილება ამგვარ საქმეებში და კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილება დავაზე, საჩივარსა ან გარჩევაზე რეაგირების შესახებ.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

წილობრივ მონაწილეობასთან დაკავშირებული დივიდენდების ასახვა ხორციელდება გაუნაწილებელ მოგებაში, მათი გამოცხადების პერიოდში.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საწარმოს მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ კვლავ შეძლოს მესაკუთრეებისათვის მოგების მიცემა.

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის და მიმდინარე და წინა წლის გაუნაწილებელი მოგებით.

პარტნიორთა კაპიტალის აღიარება ხდება ხელახლა განცხადებული ღირებულებით. კაპიტალში აქტივებით შენატანები აღირიცხება შეტანის თარიღზე მათი რეალური ღირებულებით. საწესდებო კაპიტალის ოდენობა დადგენილია წესდებით და შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის დაცვით მისი ცვლილება ან/და ახალი სახით ფორმირება. კორექტირებული კაპიტალი მოიცავს საკუთარი კაპიტალის ყველა კომპონენტს (ე.ი. საწესდებო კაპიტალს, გაუნაწილებელ მოგებას).

შენიშვნა 1

(ლარი)

ძირითადი საშუალებები

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.17	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.16
	შეძენის ღირებულება				
1	მიწის ნაკვეთები	1524360	0	0	1524360
2	ნაგებობები	832909	12744	72754	892920
3	შენობები	1529883	64145		1465739
4	დაუმთავრებელი მშენებლობა	290408	35082	26745	282071
5	ავეჯი და სხვა ინვენტარი	274137	72864	79140	280413
6	დიზელ გენერატორები და ტუმბოები	258990	5593		253396
7	ელექტრო მოწყობილობები	37539	0		37539
8	კავშირგაბმულობის საშუალებები	101947	32864	4954	74038
9	მანქანა-დანადგარები	3714108	134747	4347	3583709
10	სატრანსპორტო საშუალებები	10415056	769453		9645603
11	1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები	10660	8342		2319
	ჯამი	18 989 998	1 135 833	187 940	18 042 105
	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.17	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.16
	ცვეთა				
1	ნაგებობები	148370	36028	29969	142311
2	შენობები	251373	67290		184083
3	ავეჯი და სხვა ინვენტარი	167361	26694	61635	202302
4	დიზელ გენერატორები და ტუმბოები	64198	16938		47259
5	ელექტრო მოწყობილობები	26202	2834		23368
6	კავშირგაბმულობის საშუალებები	20777	7058	1829	15548
7	მანქანა-დანადგარები	2442830	307947	869	2135753
8	სატრანსპორტო საშუალებები	6948122	866581		6081540
9	1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები	2571	2022		548
	ჯამი	10071803	1333394	94303	8832713
	საბალანსო ღირებულება	8 918 194			9 209 392

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

არამატერიალური აქტივები

შენიშვნა 2

(ლარი)

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.17	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.16
	შემენის ღირებულება				
1	ლიცენზიები	1 284	1 284		-
2	პროგრამული უზრუნველყოფა	4 913			4 913
	ჯამი	6 198	1 284	-	4 913

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.17	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.16
	ამორტიზაცია				
1	ლიცენზიები	193	192,65		
2	პროგრამული უზრუნველყოფა	2 211	736,98		1 474
	ჯამი	2404	930	-	1 474
	საბალანსო ღირებულება	3 794	355	-	3 439

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

შენიშვნა 3

(ლარი)

სხვა გრძელვადიანი აქტივები მიმდინარე ნაწილი

დასახელება	2017	2016
1 სასამართლოს გადახდილი ბაჟი	5 000	
მოთხოვნის ნაშთი წლის ბოლოს	5 000	-

შენიშვნა 4

(ლარი)

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა

დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1 ნედლეული და მასალები	12 463 562	9 741 070
2 მზა პროდუქცია	732 295	450 697
მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	13 195 857	10 191 767

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შემენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

შენიშვნა 5

(ლარი)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1 მოთხოვნები მიწოდებიდან	10 403 176	14 296 481
2 საექვო მოთხოვნების რეზერვი	329 247	
3 გადახდილი ავანსები	1 205 638	397 175
ჯამი	11 938 061	14 693 655

შენიშვნა 6

ფულადი სახსრები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	841 241	1 211 452
2	ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	58	62 628
3	ფული სალაროში	4 273	3 105
	ჯამი	845 573	1 277 185

ფულადი სახსრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით.

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1	ვალდებულება მოწოდებიდან და მომსახურებიდან	7 064 435	8 779 790
2	მიღებული ავანსები	1 423 003	2 909 653
	ჯამი	8 487 438	11 689 443

შენიშვნა 8

საგადასახადო ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1	ერთიანი სახაზინო კოდი	10 347 462	5 810 342
	ჯამი	10 347 462	5 810 342

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის

შენიშვნა 9

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1	შრომის ანაზღაურების ვალდებულება	135 311	329 005
3	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1 386 428	6 067 928
	ჯამი	1 521 739	6 396 933

შენიშვნა 10

ამონაგები

(ლარი)

	დასახელება	2017 წელი	2016 წელი
1	შემოსავალი შესრულებული სამუშაოდან	34 621 863	35 371 163
2	სხვა სამეწარმეო შემოსავლები	390 328	768 124
	ჯამი	35 012 191	36 139 287

გაწეული მომსახურების თვითღირებულება		შენიშვნა 11 (ლარი)	
	დასახელება	2017 წელი	2016 წელი
1	მარაგების ხარჯი	11 863 350	11 245 070
2	შრომის ანაზღაურება	6 268 609	4 850 314
3	ცვეთა და ამორტიზაცია	1 397 738	1 387 346
4	ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება	3 321 850	4 713 824
5	სატრანსპორტო მომსახურება	1 354 251	687 148
6	ელ-ენერგიის ხარჯი	147 371	102 587
7	სხვა	282 305	214 904
	ჯამი	24 635 473	23 201 193

სხვა შემოსავალი		შენიშვნა 12 (ლარი)	
	დასახელება	2017 წელი	2016 წელი
1	ვალუტის გადაფასებით მიღებული შემოსავალი	1 464 329	645 264
2	სავალუტო რისკის პრემია		5 790
3	სხვა არასამეწარმეო შემოსავალი	322 760	58 668
	ჯამი	1 787 089	709 722

კომერციული დანახარჯი		შენიშვნა 13 (ლარი)	
	დასახელება	2017 წელი	2016 წელი
1	ტრანსპორტის დაზღვევა	7 914	8 700
2	ქონების დაზღვევა	675	2 665
3	ტერიტორიის კეთილმოწყობა	2 557	1 484
4	სარეკლამო მომსახურება	34	374
5	საკაბელო მომსახურება	427	427
6	საფოსტო მომსახურება	1 266	162
7	ჟურნალ გაზეთის ხარჯი	2 480	254
8	მუშა კადრების გადამზადება	1 822	983
9	პოლიგრაფიული მომსახურება	38	69
10	ფართის იჯარა	1 335	2 266
11	მიწის იჯარა		847
12	ტრენინგი	13 717	
	ჯამი	32 264	18 231

შენიშვნა 14

(ლარი)

ადმინისტრაციული დანახარჯი

დასახელება	2017 წელი	2016 წელი
1 თანამშრომელთა დაზღვევა (ხელფასი)	79 183	48 798
2 წარმომადგენლობითი ხარჯი	1 450	1 309
3 მვლინების ხარჯი		1 770
4 საკანცელარიო ხარჯი	7 049	4 287
5 ინტერნეტ მომსახურების ხარჯი	538	538
6 დაცვა (GPS მომსახურება)	22 221	19 067
7 საბუღალტრო პროგრამის მომსახურების ღირებულება	1 498	1 702
8 პროგრამული მომსახურება	85	50
9 დაცვის მომსახურება	2 284	
10 სამეურნეო ხარჯი	3 709	4 041
11 მობილური ტელეფონის ხარჯი	24 189	25 048
12 სატელეფონო მომსახურება შიფრი 993	9 469	6 798
13 კომპიუტერის ხარჯი	4 037	1 219
14 საოფისე ხარჯი	2 145	3 001
ჯამი	157 857	117 627

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის კომპესაცია

დასახელება	2017 წელი	2016 წელი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების ხელფასი	110 045	99 827

შენიშვნა 15

(ლარი)

სხვა ხარჯები

დასახელება	2017 წელი	2016 წელი
1 რემონტის ხარჯი (მიმდინარე საექსპუატაციო)	290 656	207 589
2 საკონსულტაციო ხარჯი	31 093	3 500
3 ქონების გადასახადი	75 197	59 131
4 მიწის გადასახადი	31 373	31 373
5 ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი	269	
6 ბანკის საკომისიო	10 298	11 018
7 აუქციონის ხარჯი	25 908	8 757
8 გარანტიის საკომისიო	246 423	393 836
9 აუდიტორული მომსახურება	6 800	7 733
10 ძირითადი საშუალებების იჯარა	13 800	667
11 სასამართლო ბაჟის თანხები	-	5 000
12 საგადასახადო მრჩეველის მომსახურების ხარჯი		3 000
13 სსიპ შსს მომსახურები სააგენტო	2 840	990
14 გადაგადაცილებული სესხის ჯარიმები	22 554	111 733
15 ჯარიმა გარემოს დაცვის	2 187	1 786
16 ზარალი საექვო მოთხოვნიდან		1 874 656
17 ჯარიმა გადაგადაცილებაზე დამკვეთთან	19 785	17
18 მატერიალური დაზიანება	21 406	1 500
19 საპატრულო ჯარიმა		45
20 აღსრულების ეროვნული ბიურო გარემოს დაცვის ჯარიმა		7 925
21 საქველმოქმედო ხარჯები		4 400
22 ჯარიმა სამშენებლო სამართალდარღვევაზე		1 000
23 საგადასახადო ჯარიმა საურავები გადაგადაცილებულ გადახდებზე	1 072 832	386 762
24 საქველმოქმედო ხარჯები	7 500	
25 სხვა ხარჯები	3 550	4 408
ჯამი	1 884 470	3 126 827

გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

(ლარი)

დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
1 საწყისი ნაშთი ცვლილების შეტანამდე	12 415 398	5 943 398	(765 071)
2 არსაოპერაციო შემოსავლის კორექტირება	182 379	46 530	194 572
3 ცვეთის კორექტირება	(17 861)	(18 559)	(737)
4 ხელფასის ხარჯის კორექტირება		216 967	139 475
5 ქონების გადასახადის დარიცხვა	(3 302)	(2 390)	(697)
6 მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა	(5 320)		
7 სასამართლო ბაჟის თანხის კორექტირება	5 000		
8 საგადასახადო ჯარიმა საურავები ვადაგადაცილებულ გადახდებზე	(1 072 832)	(386 762)	
წინა წლების შესწორებები	188 399,89	332 613,51	332 613,51
9 ნაშთი ცვლილების შედეგ	11 691 863	6 131 798	(432 458)

პირობითი ვალდებულებები/აქტივები

1. სასამართლო დავა

კომპანიას სასამართლო დავა აქვს თვითმართველი ქალაქ-ბათუმის მერიასთან, სასამართლოში შეტანილი სარჩელის საფუძველია 2011 წლის 20 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N309 ხელშეკრულების მე-6 პუნქტი, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 01 ნოემბრამდე, დამკვეთის მიერ ვერ მოხდა სამუშაო ფრონტის (ადგილის) გამოთავისუფლება ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში, შედეგად მოხდა სამუშაოების შესრულების ვადის გადაწევა 2017 წლის 01 მაისამდე, ხოლო შპს გზას აღნიშნულ პერიოდში მოუწია ზედმეტად გადახდა საბანკო გარანტიების 630608.17 ლარის ოდენობით. რაც წარმოადგენს დავის საგანს სამოქალაქო სასამართლოს პირველმა ინსტანციამ კომპანიის სარჩელი არ დააკმაყოფილა, და აღნიშნული გასაჩივრდა სააპელაციო წესით

2. საგადასახადო დავა

კომპანიაში 2018 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №22506 საფუძველზე განხორციელდა 2015 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 01 ივლისამდე პერიოდის სრული საგადასახადო შემოწმება; 2018 წლის 04 დეკემბრის № 2648 აქტის თანახმად კომპანიას დამატებით დაერიცხა ძირი თანხა 368 365 ლარი, კომპანია არ ეთანხმება დამატებით დარიცხული თანხებს და წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტთან დაკავშირებით, კომპანიას იმედი აქვს რომ აღნიშნული პოზიციით საგადასახადო შემოწმების აქტი განიცდის 70-80% კორექტირებას.

დირექტორი

მალხაზ დუმბაძე

მთ. ბუღალტერი

ბესიკ დავითაძე

გაუნაწილებელი მოგება—ზარალი

(ლარი)

დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
1 საწყისი ნაშთი ცვლილების შეტანამდე	12 415 398	5 943 398	(765 071)
2 არსაოპერაციო შემოსავლის კორექტირება	182 379	46 530	194 572
3 ცვთვის კორექტირება	(17 861)	(18 559)	(737)
4 ხელფასის ხარჯის კორექტირება		216 967	139 475
5 ქონების გადასახადის დარიცხვა	(3 302)	(2 390)	(697)
6 მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა	(5 320)		
7 სასამართლო ბაჟის თანხის კორექტირება	5 000		
8 საგადასახადო ჯარიმა საურავები ვადაგადაცდილებულ გადახდებზე	(1 072 832)	(386 762)	
წინა წლების შესწორებები	188 399,89	332 613,51	332 613,51
9 ნაშთი ცვლილების შედეგ	11 691 863	6 131 798	(432 458)

პირობითი ვალდებულებები/აქტივები

1. სასამართლო დავა

კომპანიას სასამართლო დავა აქვს თვითმართველი ქალაქ-ბათუმის მერიასთან, სასამართლოში შეტანილი სარჩელის საფუძველია 2011 წლის 20 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N309 ხელშეკრულების მე-6 პუნქტი, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 01 ნოემბრამდე, დამკვეთის მიერ ვერ მოხდა სამუშაო ფრონტის (ადგილის) გამოთავისუფლება ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში, შედეგად მოხდა სამუშაოების შესრულების ვადის გადაწევა 2017 წლის 01 მაისამდე, ხოლო შპს გზას აღნიშნულ პერიოდში მოუწია ზედმეტად გადახდა საბანკო გარანტიების 630608.17 ლარის ოდენობით. რაც წარმოადგენს დავის საგანს სამოქალაქო სასამართლოს პირველმა ინსტანციამ კომპანიის სარჩელი არ დააკმაყოფილა, და აღნიშნული გასაჩივრდა სააპელაციო წესით

2. საგადასახადო დავა

კომპანიაში 2018 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №22506 საფუძველზე განხორციელდა 2015 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 01 ივლისამდე პერიოდის სრული საგადასახადო შემოწმება; 2018 წლის 04 დეკემბრის № 2648 აქტის თანახმად კომპანიას დამატებით დაერიცხა ძირითადი თანხა 368 365 ლარი, კომპანია არ ეთანხმება დამატებით დარიცხული თანხებს და წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტთან დაკავშირებით, კომპანიას იმედი აქვს რომ აღნიშნული პოზიციით საგადასახადო შემოწმების აქტი განიცდის 70-80% კორექტირებას.

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



მალხაზ დუმბაძე

ბესიკ დავითაძე

შპს „გზა“

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საქმიანობის მიმოხილვა

საქართველო, ქ. ბათუმი

2018 წელი

2017 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „გზა“ (ს/ნ 245525132) დაფუძნდა 2005 წლის 3 თებერვალს. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია გიორგი ჭყონია. შპს „გზა“-ს იურიდიული მისამართია - ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ., №51, ბინა 1. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგზაო, სამშენებლო, წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო ქსელის სამშენებლო საქმიანობა. კომპანიას ხელვაჩაურის სამრეწველო ზონაში საკუთრებაში გააჩნია ორი სამეურნეო ეზო (სულ 8 ჰა-მდე) სადაც განთავსებულია ორი ქვის სამტრევი დანადგარი, ორი ბეტონის ქარხანა, ასფალტის ქარხანა, ფილებისა და ბორდიურების დამამზადებელი საწარმოო ხაზი და სხვა. ასევე 130 ერთეულზე მეტი მუშა მდგომარეობაში მყოფი საწარმოო ტექნიკა (ასფალტის დასაგები მანქანები, ბეტონ ამრევეები, ამწე-კრანები, თვითმცლელები, ტრაქტორები და ა.შ).

კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

1. გზების და ხიდების მშენებლობა.
2. წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა.
3. სამოქალაქო დანიშნულების შენობების მშენებლობა.
4. აეროპორტის მშენებლობა.
5. ასფალტის წარმოება.
6. ბეტონის და ბეტონის ნაკეთობების წარმოება.
7. ფილებისა და ბორდიურების წარმოება.
8. ქვიშა-ხრემის მოპოვება და გადამუშავება.
9. სამშენებლო მასალების რეალიზაცია.
10. მანქანა-მექანიზმებით მომსახურება.

კომპანიამ პირველი დიდი პროექტი განახორციელა 2006-2007 წლებში, როდესაც შპს „ტავ ურბან ჯორჯიას“ დაკვეთით შეასრულა ბათუმის აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკისა და სადგომის რეაბილიტაცია.

2009-2010 წლებში შპს „ბაუერ ჯორჯიას“ დაკვეთით განახორციელა დღევანდელი სასტუმრო ჰილტონის სამირკვლის მოწყობა (ბეტონის მიწოდება და შესრულება).

2010-2011 წლებში კომპანიამ განახორციელა ადლიის საბაჟო ტერმინალის (გეზ-ი), აეროპორტის ახალი გზისა და სს „ავრაზია ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული ავტოსადგურისა და ტერმინალის მშენებლობა.

შპს „ბათუმი ცენტრალის“ დაკვეთით დასრულდა ბათუმის ახალი რკინიგზის სადგურისა და ბიზნეს ცენტრის მშენებლობა.

2015 წლიდან დღემდე კომპანია ახორციელებს ქალაქ ბათუმში წყლისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციას გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) დაფინანსებით.

დაარსებიდან დღემდე შპს. "გზა" წარმატებით და მაქსიმალურად სწრაფად ახორციელებს ყველა სახის სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტს. ქვეყნის წამყვან კომპანიებთან ერთად

შპს "გზა"-მ არაერთ ძვირადღირებულ პროექტს შეასხა ხორცი. ბათუმსა და ქობულეთში განლაგებული ოფისები დაკომპლექტებულია ენერგიული და აქტიური მაღალკვალიფიციური ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალით, რომელიც ადვილად ართმევს თავს ყველა სახისა და მასშტაბის სამშენებლო პროექტს. ამასთან, საქმიანობის სფეროში მომსახურების ხარისხისა და "ნოუ-ჰაუ"-ს ამაღლების მიზნით მუდმივად თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან კომპანიებთან. შპს. "გზა"-ს აქვს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი პარკი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ის არის ლიდერი ასფალტისა და ბეტონის წარმოებაში და ჩვენი რეგიონით დაინტერესებული ნებისმიერი უცხოური კომპანიის გამორჩეული პარტნიორი.

2017 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 35 მლნ. ლარს შეადგენს, ხოლო საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება - 8.2 მლნ. ლარს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს 34.9 მლნ. ლარს, ხოლო საკუთარი კაპიტალი 11.7 მლნ. ლარია.

მიმდინარე წელს მიღწეული შედეგები გვამღებს რწმენას იმისას, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში საზოგადოება შესძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა ტექნიკის განახლებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

შპს "გზა" ისწრაფვის იყოს ლიდერი კონკრეტულ ბაზარზე, სრულად დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნილებები და ამით გაამართლოს მასზე დამყარებული ნდობა. ჩვენი პოლიტიკა ხარისხის სფეროში მიმართულია დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების, რესურსების და პროცესების მუდმივი გაუმჯობესებისა და სრულყოფისაკენ, რათა ავამაღლოთ მომხმარებლის კმაყოფილების დონე.

შპს გზა პერმანენტულად აცნობს კომპანიაში დასაქმებულ პერსონალს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მასალებს მუდმივი ეკოლოგიური კონტროლის სისტემის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო და საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, თანამშრომლობს ყველა საზოგადოებრივ სექტორთან გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით. კომპანიის ძირითადი პრინციპია ენერგიის ოპტიმალური ხარჯვა, ბუნებრივი რესურსის სწორი მოხმარება, საწარმოო ნარჩენების შემცირება, მათი გადამუშავება და ხელახალი გამოყენება ეროვნული ეკონომიკის ინტერესთა დაცვის მიზნით. ეს კი თავის მხრივ გულისხმობს ტექნოლოგიის – ეკონომიკის – ეკოლოგიის ინტეგრაციას.

კომპანია იცავს ყველა არსებულ წესსა და კანონს კომპანიის ყველაზე ძვირფასი რესურსის - თანამშრომლების შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ყოველ ღონეს ხმარობს უბედურ შემთხვევათა მინიმუმამდე დასაყვანად და შესაბამისად შრომითი ეფექტურობის, ხარისხისა და ნაყოფიერების ასამაღლებლად. მომსახურე პერსონალს უზრუნველყოფს სათანადო ინფორმაციით აღნიშნულ სფეროში თანამდებობრივ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით,

სათანადო ტრეინინგების მოწყობის გზით. ხელმძღვანელობს სლოგანით " არცერთი უბედური შემთხვევა" და ყოველ ღონეს ხმარობს პერსონალის შესაძლო რისკის თავიდან ასაცილებლად, რისთვისაც უზრუნველყოფს ჯანმრთელ და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უკლებლივ ყველა თანამშრომლისათვის. შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად ყოველწლიურად დაისახავს ახალ მიზნებს და შეიმუშავებს ახალ გეგმებს.

პერსონალის თითოეული წევრის კომპეტენტურობა განისაზღვრება პროფესიონალური მომზადების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დონით. შრომისუნარიანობის შეფასების შემდეგ ისახება მუშაკთა შესაძლებლობათა ზრდის გეგმა. ხოლო მათი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით, ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიები რეგულარულად აწყოვენ სხვადასხვა სახის ტრეინინგებს მენეჯერების, ინჟინრების, ოსტატებისა და ოპერატორებისათვის. სამუშაო ობიექტზე შპს. "გზა" იღებს ყველა საჭირო ზომას რათა უზრუნველყოს შრომის ჰიგიენა და უსაფრთხოება, თავიდან აიცილოს შესაძლო ზარალი და/ან რისკი, უბედური შემთხვევები და პროფესიონალური დაავადებანი, რაც მუდმივად თან ახლავს სამშენებლო საქმიანობას. თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად და შესაძლო უბედური შემთხვევების აღმოსაფხვრელად ტარდება ტრეინინგები ისეთ თემებზე, როგორიცაა დამცავი-სამაშველო აღჭურვილობა, პირველადი დახმარება, უსაფრთხოების ნიშნები, ავარიული სიტუაციები, ფეთქებად ნივთიერებებთან მუშაობა და სხვა. თანამშრომელთა ნორმალური ფიზიკური და ფსიქიური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად ეწყობა სხვადასხვა სპორტული და საზოგადოებრივი ღონისძიებები. ტრეინინგების გავლის საშუალება ეძლევათ უნივერსიტეტის სტუდენტებსაც, ხოლო მათ შორის წარმატებულნი ჯილდოვდებიან ადგილობრივი და საერთაშორისო სტიპენდიებით. შესაბამისი ტრეინინგის გავლის შემდეგ მონაწილეები პრაქტიკაში იყენებენ შეძენილ უნარ-ჩვევებს.

წარმატებები, რომელიც მიღწეულია საწარმოში ერთად მომუშავე გამოცდილი პროფესიული კადრების დამსახურებაა, თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განახლებისთვის გადავდგით ნაბიჯი ახალგაზრდებთან მიმართებაში, რომლებიც უკვე წლებია ჩვენთან ერთად საქმიანობენ და თეორიულ ცოდნასთან ერთად იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.

საზოგადოების მართვა/საზოგადოების კრება

საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

საზოგადოების დირექტორი


საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი. საზოგადოების დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით 2006 წლის 7 მარტის პარტნიორთა კრების ოქმით დირექტორად არჩეულ იქნა მალხაზ დუმბაძე დაბადებული 25.08.1967, საქართველოს მოქალაქე,

მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

დირექტორი საზოგადოების მართვას ანხორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.



ვატკიცებ:
შპს „გზა“
დირექტორი
მ.დუმბაძე
03.01.2017

ფინანსური დირექტორი /ლ.მგვავანაძე/
ტექნიკური დირექტორი /ა.ბადალავა/

ხარისხების მენეჯერის სისტემების ხელმძღვანელი /მ.ხორიკიძე/

2017 წელს საწარმოს მიერ შესრულდა მსხვილი პროექტები:

მიმდინარე პროექტების დასახელება	დამკვეთი	კონტრაქტის ღირებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
ქ. ბათუმის წყლისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია კონტრაქტი 1	შპს „ჯივი ლუდვიგ პფაიფერ ფაიფერ ლაიპციგ“	€ 14 130 396	15.10.2015	26.01.2019
ქ. ბათუმის წყლისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია კონტრაქტი 2	შპს „ჯივი ლუდვიგ პფაიფერ ფაიფერ ლაიპციგ“	€ 8 557 738	15.10.2015	26.01.2019
ქ. ბათუმის წყლისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია ლოტი 4.1	შპს „ჯივი პფაიფერ-გზა“	€ 14 809 000	05.01.2015	31.12.2018
ქ. ბათუმის წყლისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია ლოტი 4.2	შპს „ჯივი პფაიფერ-გზა“	€ 2 482 149	23.01.2015	30.07.2018
„ბარცხანა-ორთაბათუმი-ზ/ყოროლისთავი“ კმ0+000-კმ4+450 ორფენიანი ა/ბეტონის საფარის მოწყობა	შპს „გზები“	2165361,05 ლარი	23.06.2017	25.02.2018

ზემოთ მოყვანილი პროექტების შესრულებისას სამუშაოებს აკონტროლებს ზედამხედველობის სამსახური. მათი წარმომადგენლები ესწრებიან ყველა სამუშაო პროცესს, ასურათებენ და აოქმებენ ყველა ფარულ სამუშაოს. ყოველი თვის ბოლოს დამკვეთს წარედგინება შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი ფორმა, რომლის სისწორეს ადასტურებენ ზედამხედველები. მთლიანად ობიექტი ბარდება ექსპერტიზის დასკვნით.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკის განახლება;

მიმდინარე გეგმები:

- საზოგადოება გეგმავს მონაწილეობა მიიღოს 7-20 მილიონიან რამდენიმე პროექტში.

განვითარების რესურსები:

- გაგვაჩნია საკმარისი ტექნიკა საგზაო-სამშენებლო სამუშაოებისათვის.
- გვაქვს ძირითადი მასალების საკმაოდ დიდი მარაგი.
- წარმოებაში ვიყენებთ ინოვაციურ მეთოდებს.
- სამუშაოებისთვის საჭირო ყველა ნაკეთობას ვამზადებთ საკუთარ ბაზაზე.

საწარმო საქმიანობის მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის სისტემატიურად ანხორციელებს ინვენსტიციებს მანქანა-მექანიზმების შესაძენად. დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადართმობის მიზნით, კერძოდ:

- განახლდა ასფალტო/ბეტონის ქარხანა.
- განახლდა ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი სისტემა.
- სრულად განახლდა ასფალტის დამგები მანქანა.
- შეძენილი იქნა რამოდენიმე ერთეული ექსკავატორი და ტრაქტორი.
- გაახლდა ავტოპარკი.

სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადამიანურ რესურსების მართვის სამსახური.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწეს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას.

საწარმოს თანამშრომლებისთვის გვაქვს კორპორაციული დაზღვევა. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. კომპანიის მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა.

შპს „გზა“ მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნემისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

სასამართლო დავები

კომპანიას სასამართლო დავა აქვს თვითმართველი ქალაქ-ბათუმის მერიასთან, სასამართლოში შეტანილი სარჩელის საფუძველია 2011 წლის 20 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N309 ხელშეკრულების მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 01 ნოემბრამდე, დამკვეთის მიერ ვერ მოხდა სამუშაო ფრონტის (ადგილის) გამოთავისუფლება ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში, შედეგად მოხდა სამუშაოების შესრულების ვადის გადაწევა 2017 წლის 01 მაისამდე, ხოლო შპს გზას აღნიშნულ პერიოდში მოუწია ზედმეტად გადახდა საბანკო გარანტიების 630608.17 ლარის ოდენობით. რაც წარმოადგენს დავის საგანს.

სამოქალაქო სასამართლოს პირველმა ინსტანციამ კომპანიის სარჩელი არ დააკმაყოფილა და აღნიშნული გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2018 წლის 26 დეკემბერს.

დირექტორი: მალხაზ დუმბაძე

ტელ: (+995)595223993

